სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/52

ქ. თბილისი 5 მარტი 2019 ,

პროფ. ი. ყრუაშვილის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად წარდგენის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების “მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 5 მარტის №01-05-02/6 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. წარდგენილ იქნეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის აგროინჟინერიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ირაკლი ყრუაშვილის კანდიდატურა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ, 2 მარტის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა-ში“ გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) სპეციალობით “სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაცია“.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **არჩილ ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გიორგი სალუქვაძე**